# განმარტებითი ბარათი

## საკრებულოს დადგენილების პროექტზე

## „სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

### ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

### ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

### ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

### ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

### ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

### ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

### ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით და ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 96-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე განისაზღვრა საბიუჯეტო პარამეტრებისა და მაკროეკონომიკური

პროგნოზები. რეალური შიდა პროდუქტის ზრდა 2023 წლისთვის მოსალოდნელია 5,5%, აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

**ბიუჯეტის პარამეტრები**

**საგადასახადო შემოსავლები**

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები იგეგმება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 13275,0 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1870.4 ათასი ლარით.

**2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:**

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9225,4 ათასი ლარით;

  *2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 21%-ით (1850,4 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;*

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 4050,0 ათას ლარს;

  *2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი (20.0 ათასი ლარით) იზრდება.*

**2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:**

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 385,0 ათასი ლარამდე, მათ შორის:
  - ✓ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები მიზნობრივი ტრანსფერი განისაზღვრება 385,0 ათასი ლარით

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 42%-ით (220,0 ათასი ლარით) იზრდება.

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 288.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ პროცენტები 230,0 ათასი ლარი.
  - ✓ რენტა 58.0 ათასი ლარი;

    2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 112.5 ათასი ლარით.

- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 132.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 30,0 ათასი ლარი;
  - ✓ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0,6 ათასი ლარი;
  - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 30,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 72,0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 180,0 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 180,0 ათასი ლარი;
  - ✓ **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები განსაზღვრულია 107,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან 107,0 ათასი ლარი;

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 3232,0 ათას ლარს;

**სულ ბიუჯეტის შემოსულობები დაიგეგმოს 17600.0 ათასი ლარით**

## მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 17600,0 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 4780.0 ათასი ლარით).

2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად.

**პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:**

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 5318.3 ათასი ლარი; მათ შორის:**

**საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება განისაზღვრა - 1902.8 ათასი ლარით:
1 სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მუხლი განისაზღვროს 20,0 ათასი ლარით, აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია შიდა გზების მოვლა-შენახვაზე.
2 არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაიგეგმოს 1882.8 ათასი ლარით, მათ შორის: 1802.8 ათასი ლარი ა/ბიუჯეტის წილი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისთვის, 15,0 ათასი ლარი ქ. წნორში თავისუფლების ქუჩაზე ღერძულა ხაზის მონიშვნის, საფეხმავლო ,,ზებრა“ გადასასვლელების მონიშვნის და საგზაო ნიშნების მონტაჟისთვის, 55,0 ათასი ლარი სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გურჯაანის მუნიციპალიტეტის მხრიდან (სოფ. ანაგაში) და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მხრიდან შემოსასვლელების მოწყობა, 10,0 ათასი ლარი ქ. სიღნაღში ფოტო ბანერების განთავსებისთვის.

### მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი დაიგეგმოს 15,0 ათასი ლარით.
აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია: ილიაწმინდა – წნორი (არქიმედეს კლინიკა) მარშრუტის მომსახურებაზე 12,0 ათასი ლარი, და ერისიმედი - წნორი მარშრუტის მომსახურებაზე 3,0 ათასი ლარი.
არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვროს 291,0 ათასი ლარით (მუნიციპალიტეტისთვის სამი ერთეული სამარშუტო ავტობუსის შესაძენად).
**სულ, მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ხარჯები დაიგეგმოს 306,0 ათასი ლარით (დანართი #).**

**წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპუატაციის ხარჯების მუხლი დაიგეგმოს 532,3 ათასი ლარით.**

**საქონელი და მომსახურეობის ხარჯები დაიგეგმოს 20,0 ათასი ლარით.**

**სუბსიდია --512,3 ათასი ლარი.**

✓

**გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯების მუხლი დაიგეგმოს - 596,4 ათასი ლარით.**

მათ შორის: საქონელი და მომსახურების ხარჯები განისაზღვროს 470,0 ათასი ლარით ელ. ენერგიის ღირებულების დასაფინანსებლად.
სუბსიდიის მუხლი განისაზღვროს 126,4 ათასი ლარი.

**საკანალიზაციო და წყალსადინარების სისტემების მოვლა-შენახვის ღონისძიებების დაფინანსება**

საკანალიზაციო და წყალსადინარების სისტემის მოვლა შენახვის ღონისძიებების სუბსიდიის მუხლი განისაზღვროს 30,0 ათასი ლარით.

- ✓
- ✓ **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო** დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 720,0 ათასი ლარით.

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.
- ✓ **სიღნაღის მუნიციპალიტეტის და კეთილმოწყობის ღონისძიებები** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები,დასუფთავება, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები.

- ✓ **დასუფთავება და ნარჩენების გატანა 1118,0 ათასი ლარი**

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა. (მათ შორის 97,0 ათასი ლარით დაიგეგმა ნაგავმზიდი მანქანის შეძენის ხარჯი).

✓**მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 99,4 ათასი ლარი**

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა.
სუბსიდიის მუხლი დაიგეგმოს 99,4 ათასი ლარით.

**სასაფლაობის მოვლა-პატრონობის სუბსიდიის მუხლი დაიგეგმოს 3,7 ათასი ლარით**

**შადრევნების მოვლა-პატრობის და ექსპუატაციის ხარჯები, სუბსიდია დაიგეგმოს 9,7 ათასი ლარით.**

**ა(ა)იპ „კომუნალური 1“ -ის დაფინანსება**

სუბსიდიის მუხლი დაიგეგმოს 1802,5 ათასი ლარით (დანართი #)
მ.შ. --დასუფთავება (ტერიტორიის დასუფთავება, შენობის დაუფთავება  და ადმინისტრაცია) –1021,0 ათასი ლარი
გარე განათების მომსახურეობა --126,4 ათასი ლარი
წყლის სისტემების მომსახურეობა --512,3 ათასი ლარი
ბაღების და სკვერების მომსახურეობა --99,4 ათასი ლარი
შადრევნების მომსახურეობა --9,7 ათასი ლარი
საკანალიზაიო და წყალსადინარების სისტემის მომსხურეობა --30,0 ათასი ლარი
სასაფლაოების მოვლა-პატრონობა --3,7 ათასი ლარი
**ა(ა)იპ „კომუნალური 1“ -ის ხარჯები დაიგეგმოს 1802,5 ათასი ლარით**

- **განათლება - 3247,1 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓**სკოლამდელი განათლება - 3120,0 ათასი ლარი;**

2022 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 380,0 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია პედაგოგების ხელფასების მატებით;

- ✓**მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი  - სუბსიდია განისაზღვროს 127,1  ათასი ლარი, გაზრდილია ბიუჯეტი 40,2 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია ხელფასების მატებით და ჩასატარებელი ღონისძიებებით.**

- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2140,5 ათასი ლარი მათ შორის:**
  - ✓**სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 461,1 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს სიღნაღის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

- ✓**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მეგობრობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

**ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურეობის ცენტრი"-ს ხარჯები დაიგეგმოს 340,0 ათასი ლარით.**

**ა(ა)იპ `სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების~ ხარჯები დაიგეგმოს 438,0 ათასი ლარით.** (დანართი # ) .

**ა(ა)იპ `სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის" ხარჯები დაიგეგმოს 693,6 ათასი ლარით.** (დანართი # ).

✓ **ახალგაზრდობის მხარდაჭერა და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებები**

დაფინანსება დაგეგმილია 167,8 ათასი ლარით, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები, ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება, დაჯილდოება, ფესტივალებში და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა. (აქედან 15,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია ქალაქ სიღნაღსა და ქალაქ წნორში, ტურისტულად აქტიურ ზონებში, მათ შორის სოფლებში, საინფორმაციო რუკების განახლებული დიზაინის შექმნა, დაბეჭდვა და მატერიალური სახით დადგმა. ქ. სიღნაღში -3 ცალი (ბულვარში, ავტოსადგურში და შადრევანთან), ქ. წნორში -2 ცალი (წნორის ახალ პარკში, ქ. წნორის ცენტრში), ქიზიყის შემოსასვლელთან -- 1 ცალი, ბოდბის მონასტერთან -1 ცალი, სიღნაღი-ქვემო მაჩხაანის დამაკავშირებელ ახალ გზასთან -2 ცალი (სოფელ მაჩხაანსა და ქალაქ სიღნაღში), სოფელ ანაგაში - 1 ცალი, სოფელ ნუკრიანში -1 ცალი, სოფელ ბოდბეში -1- ცალი და სოფელ ტიბაანში - 1 ცალი).

**სულ, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები დაიგეგმოს 167,8 ათასი ლარით, (დანართი # ).**

## საინფორმაციო ცენტრი

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი განისაზღვროს 20.0 ათასი ლარით. აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია „სპექტრის" და საინფორმაციო სააგენტოებისათვის (დანართი # ).

## რელიგიური საქმიანობა

სხვა ხარჯები განისაზღვროს 20.0 ათასი ლარით (დანართი # )

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1354,5 ათასი ლარი, მათ შორის:**

✓**საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 200,0 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

✓**სოციალური პროგრამები - 1154,5 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:**

- ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამა -385,0 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დახმარება -29,0 ათასი ლარი;
- სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება - 46,0 ათასი ლარი
- სხვა სოციალური ღონისძიებები -165,2 ათასი ლარი;
- სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურება - 1,0 ათასი ლარი
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დახმარება - 10,0 ათასი ლარი
- იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დახმარება - 3,0 ათასი ლარი
- შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა მატერიალური და სამედიცინო დახმარება - 106,3 ათასი ლარი
- მარჩენალდაკარგულისა და მარტოხელა დედების სოციალური დახმარება - 5,0 ათასი ლარი
- ობოლი სტუდენტებისა და მრავალშვილიანი ოჯახებიდან სტუდენტთა დაფინანსება - 38,5 ათასი ლარი
- უსახლკაროდ დარჩენილთა სოციალური დაცვა 18,0 ათასი ლარი

- დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენის 60,0 ათასი ლარი
- ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილო“ 287,5 ათასი ლარი

➢ **მმართველობა - 5354,6 ათასი ლარი, მათ შორის:**

➢

✓**საკრებულოს დაფინანსება** - 1288,1 ათასი ლარი;

მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დაიგეგმოს 919,0 ათასი ლარით,
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება დაიგეგმოს 65,0 ათასი ლარით.
მივლინებები დაიგეგმოს 13,0 ათასი ლარით.
ოფისის ხარჯები 36,1 ათასი ლარით.
მათ შორის:
_ საწერ-სახაზავი ქაღალდის და სხვა ანალოგიური საქონლის შეძენა 5,0 ათასი ლარით,
_ ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკაბშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები 6,0 ათასი ლარი,
_ კომპიუტერული ტექნიკის შეძენა 5.0 ათასი ლარი
_ კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა 3,2 ათასი ლარი
_ გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა 2.0 ათასი ლარი
---შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი 1,5 ათასი ლარი
- საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი 6,0 ათასი ლარი.
_კავშირგაბმულობის ხარჯები 7,0 ათასი ლარი, მ.შ.
სატელეფონო და ინტერნეტით მომსახურების ხარჯი 6,6 ათასი ლარი.
_საფოსტო მომსახურება 0,4 ათასი ლარი.
_ წარმომადგენლობითი ხარჯები 5,0 ათასი ლარი.

ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები დაიგეგმოს 91,5 ათასი ლარით.
მათ შორის:
_ საწვავის შესაძენად 70,0 ათასი ლარი.
_ მიმდინარე რემონტის ხარჯები 5,5 ათასი ლარი.
_ სათადარიგო ნაწილების შეძენა 16,0 ათასი ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 14.0 ათასი ლარი (9,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია კადრების მომზადება-გადამზადებისთვის, 5,0 ათასი ლარი - სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის).

სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები დაიგეგმოს 3,0 ათასი ლარით.

სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები დაიგეგმოს 126,0 ათასი ლარი

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაიგეგმოს 15,5 ათასი ლარით. მ. შ: კომპიუტერების შესაძენად 12,0 ათასი ლარი, პრინტერების შესაძენად 3,5 ათასი ლარი.

✓**მერია** - 3537,2 ათასი ლარი;

**მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დაიგეგმოს 2216,0 ათასი ლარით.**
**შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება დაიგეგმოს 132,0 ათასი ლარით.**
**მივლინებები დაიგეგმოს 30,0 ათასი ლარით.**

**ოფისის ხარჯები 249,0 ათასი ლარით.**
**მათ შორის:**
_ საწერ-სახაზავი ქაღალდის და სხვა ანალოგიური საქონლის შეძენა 6,0 ათასი ლარით,
_კომპიუტერული პროგრამების შეძენის ხარჯი 5,0 ათასი ლარი
_ კომპიუტერული ტექნიკის შეძენა 3.5 ათასი ლარი
_ კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა 3,0 ათასი ლარი
_ გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკის შეძენა 0,5 ათასი ლარი
_ საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი 2,0 ათასი ლარი
_ საოფისე ავეჯის შეძენა 5.0 ათასი ლარი
--შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი 20,0 ათასი ლარი
საოფისე ტექნიკის, ინვენტარის მანქანა დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი ---1.0 ათასი ლარი
■
_ კავშირგაბმულობის ხარჯები 33,0 ათასი ლარი, მ.შ.
სატელეფონო და ინტერნეტით მომსახურება 30,0 ათასი ლარი
-საფოსტო მომსახურება 3,0 ათასი ლარი,
კომუნალური ხარჯი, 170,0 ათასი ლარი მ.შ:
-ელექტროენერგიის ხარჯები 60,0 ათასი ლარი
-წყლის ხარჯი 60,0 ათასი ლარი
-ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი 50.0 ათასი ლარი

-წარმომადგენლობითი ხარჯები 15,0 ათასი ლარი

ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები დაიგეგმოს 170.0 ათასი ლარით.
მათ შორის:
_ საწვავის შესაძენად 130.0 ათასი ლარი.
_ მიმდინარე რემონტის ხარჯები 15,0 ათასი ლარი
_ სათადარიგო ნაწილების შეძენა 24,0 ათასი ლარი
--- ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი --1,0 ათასი ლარი

სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი 139,5 ათასი ლარი. აქედან 6,0 ათასი ლარი ექსპერტიზისა და შემოწმების ხარჯი, 20,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია კადრების მომზადება-გადამზადებისთვის, აოდიტორული მომსახურეობის ხარჯი 1,5 ათასი ლარი, შენობის დაცვის ხარჯი 78 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი 34,0 ათასი ლარი.

სუბსიდიის ხარჯი დაიგეგმოს 55,0 ათასი ლარით

სხვა ხარჯები 52,2 ათასი ლარი, (მათ შორის 32,2 ათასი ლარი გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად).

არაფინანსური აქტივების ზრდა დაიგეგმოს 478,5 ათასი ლარი, მ.შ.

არასაცხოვრებელი შენობების მიმდინარე რემონტი (ადმინისტრაციული შენობის რემონტის პირველი ეტაპის ხარჯი) 329,5 ათასი ლარი.

სატრანსპორტო საშუალებების შეძენა 85,0 ათასი ლარი.

კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად 24,0 ათასი ლარი.

სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარის შეძენა 40,0 ათასი ლარი

- ✓სარეზერვო ფონდი - 50,0 ათასი ლარი;
- ✓შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯი-5,0 ათასი ლარი.
- ✓რეგიონული განვითარების ფონდი -97,2 ათასი ლარი.
- ✓სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარი თანხა და ვალის მომსახურება 377,1 ლარი, მათ შორის ძირი 256,5 ლარი და პროცენტი - 120,6 ლარი.

- ✓ **ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა**
- ✓
- ✓ მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დაიგეგმოს 155,4 ათასი ლარით.
- ✓ საქონელი და მომსახურეობის ხარჯების მუხლი დაიგეგმოს 29,6 ათასი ლარით
- ✓ მათ შორის: ოფისის ხარჯი 2,0 ათასი ლარით;
- ✓ კომუნალური ხარჯი --3,0 ათასი ლარი;
- ✓ ელექტრო ენერგიის ხარჯი -4,0 ათასი ლარი;
- ✓ საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი --10,0 ათასი ლარი
- ✓ ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი -5,0 ათასი ლარი
- ✓ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯი -9,6 ათასი ლარი

- ✓ **სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯები დაიგეგმოს 185,0 ათასი ლარით (დანართი #).**

**სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში**

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5098,1 ათასი ლარი;*
- *თავდაცვა - 185,0 ათასი ლარი;*

- *ეკონომიკური საქმიანობა -2208,8 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 1148,0 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1961,5 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 200,0 ათასი ლარი;*
- *განათლება - 3247,1 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 1154,5 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია 2140,5 ათასი ლარი*